



# გზა ევროპისაკენ – ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრობისათვის



ირაკლი ლარიბაშვილი – საქართველოს და ქართველ ხალხს, ჩემს მთავრობას და ჩვენს მმართველ პარტიას ძალიან კონკრეტული გადაწყვეტილება აქვს მიღებული, რომელიც შეუქცევადია და გულისხმობს ევროპასთან დაახლოებას, ევროკავშირის სრულუფლებიან წევრობას.

**გურია** **ა ღ ი ო ნ ი** **უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!**

გაზეთი გამოსვლის 1931 წლის 5 იანვრიდან. საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. ყოველკვირეული გამოსვლა. № 26 (10462) 14 ნოემბერი, 2023 წ. ფასი 80 თეთრი.

## „ექვთიმე“ რუსთაველის თეატრის სცენაზე წარდგება



**ალიონი.** ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრი 19 ნოემბრიდან 23 ნოემბრის ჩათვლით თბილისში, თელავსა და გორში საგასტროლო ტურნეს მართავს. 19 ნოემბერს, ქ. თბილისში, შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული თეატრის სცენაზე თბილისელი მსახიობები რეჟისორ ვინა კაპანაძის სპექტაკლს „ექვთიმეს“ იხილავს – ამის შესახებ გაზეთ „ალიონს“ ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის დირექტორმა **ზაზა ჯინჭარაძემ** აცნობა. ზაზა ჯინჭარაძის თქმით, პროექტი საქართველოს კულტურის, სპორტის და ძველთა დაცვის სამინისტროს დაფინანსებით განხორციელდება და თბილისის გარდა ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის მორიგ წარმატებულ დადგმას 20-22

## რატომ ვეღარ სთავაზობს ბაზარს „ულეველა“ ულემ პროდუქციას

წილს, გაზაფხულში, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოტში, სახელმწიფოს მხარდაჭერით სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივ „ულეველას“ თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი რძის გადამამუშავებელი საწარმო გაიხსნა და პირველი პროდუქციაც შესთავაზა მოსამარაგებელს. გახსნის ცერემონიალს რეგიონის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები და სოფლის განვითარების სააგენტოს კოოპერატივების განვითარების დეპარტამენტის უფროსი კონსტანტინე **ხუცაიძე** ესწრებოდა, რომელიც კონსულტაციას უწევდა კოოპერატივის წევრებს მთელი ამ ხნის განმავლობაში. (გაზეთი „ალიონი“, №12, 25 მაისი, 2023 წ.) **სამწუხაროდ, „ულეველას“ რძის გადამამუშავებელმა საწარმომ მალევე შეწყვიტა მუშაობა, რადგან ვერ შეძლეს რძის გადამზადება, 500 ლიტრიანი „პიკაპის“ შექმნა, რაც აუცილებელი გახლავთ საწარმოს მუშაობისა და HACCP-ის სისტემის მოთხოვნების შესასრულებლად, რომელიც დაიცავს მათ ბიზნესს, მათ მიერ წარმოებულ პროდუქტს და მომხმარებლებსაც. ამის ერთ-ერთ მიზეზად ითვლება „ზოტი ჰიდროს“ მიერ „ულეველასთან“ გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტა, რადგან ვერ შეძლეს ვიზიტები, მკვლევარები გახსნა იდეა, კოოპერატივის შექმნისა.**



მოკლე ექსკურსს შემოგთავაზებთ „ულეველას“ ისტორიიდან, ამონარიდი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის ხელმძღვანელის **მანანა მინდაძის** „ალიონისათვის“ მიცემული ვრცელი კომენტარისაგან: – ჩვენთან სამსახურში, 10 წლის წინ, ასაკოვანი კაცი მოვიდა და გვითხრა: – ჩვენი გადარჩენის საფუძველი, სოფლის მეურნეობის განვითარება უნდა იყოს. ჩვენ ზოტში უნდა შევქმნათ მნიშვნელოვანი საწარმო. მომეწონა მისი იდეა, შემართება და იმედია ვაიწყობა. მას შემდეგ დაიწყო ვიზიტები, მკვლევარები გახსნა იდეა, კოოპერატივის შექმნისა. დავაკავშირეთ სოფლის მეურნეობის სამინისტროს. 4 პროგრამაში მიიღო მონაწილეობა ბაბატონმა ნევიზმა და მისმა გუნდმა. **პირველი ეტაპი:** მაღალმთიან რეგიონებში, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალიზირებული გამოყენების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, სიმბოლურ ერთ ლარად, უზუფურქტით გადაეცათ 536 ჰექტარი სათიბ-საძოვარი; ამ პერიოდში გადაეცათ 5 ცალი ხელის მოტობლოკი, რომლის დირეზების ნაწილი სააგენტოსთან ერთად ბენეფიციარებმაც გადაიხადეს. აღნიშნულ ტექნიკას ისინი სათიბ ფართობებში იყენებენ. შემდეგ გადაეცათ 240 000 ლარის ღირებულების ტექნიკა (ტრაქტორი, გუთანი, ფარცხი, სათიბელა, თივის პრესი სდამამზადებელი და მისამქელი); მათ შორის თანხის 10% კოოპერატივმა გადაიხადა. **მეორე ეტაპი:** რძის მწარმოებელი სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერი სახელმწიფო პროგრამა: სააგენტომ დაფარა 250 000 ლარი, კოოპერატივის გადასახდელი გახდა 100 000 ლარი, რაც იაფიანი კრედიტით იქნა განხორციელებული. მათ ააგეს რძის გადამამუშავებელი საწარმოს შენობა. **შემდეგი ეტაპი,** ბრენდირება, შეფუთვა სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სისტემის დანერგვა; კოოპერატივის 41 წევრი, შემდეგ გადაეცათ 240 000 ლარის ღირებულების ტექნიკა

### გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
- სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- გახსენება, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 80 თეთრი, ხელმოწერა: ერთი თვით - 3,20 ლარი, სამი თვით - 9,60 ლარი, 6 თვით -16 ლარი, ერთი წლით - 32 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიონანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას. გამოქვეყნებული მასალების გადაგვცემა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

**სარეკლამო კომპანია**  
**რედაქციონი**  
**ნუგზარ ასათიანი**  
 nugzarasatiani15@gmail.com  
 558 499100  
 კომპიუტერული უზრუნველყოფა  
**გიორგი გოგოლაძე**  
 gia\_77@mail.ru  
 551 576060  
 რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3  
 ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311  
 გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“  
 მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი მიზნობრივი აქცია „ალიონით“

## გზა ევროპისაკენ - ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრობისათვის

- ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველომ ძალიან მიმზიდველი და შთაბეჭდვითი რეფორმები განახორციელა და მიღწევები იქონია, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა **ირაკლი ღარიბაშვილმა** პარიზის მშვიდობის ფორუმში ფარგლებში გამართულ პანელურ დისკუსიაზე, „თანამშრომლობის ასპექტები დაპირისპირებულ სამყაროში: მშვიდობის უზრუნველყოფა და უსაფრთხო სამყაროს შენება კავკასიის მაგალითზე“, - გამოსვლისას განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, მას ჰქონდა პატივი 2014 წელს ხელი მოეწერა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე.

„ჩვენს პატივი 2014 წელს ხელი მოეწერა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებაზე; თავისუფალი სავაჭრო შეთანხმებაც გავაფორმეთ ევროპასთან; უვიზო მიმოსვლის რეჟიმი მოგვენიჭა ევრო-

კავშირის ტერიტორიაზე; გასული წელიც ისტორიული აღმოჩნდა, რადგან ევროპული პერსპექტივა მოგვენიჭა; 2 დღის წინ კიდევ ერთი ისტორიული გადაწყვეტილება იქნა მიღებული ევროკომისიის მიერ. მან რეკომენდაცია გასცა ევროპული საბჭოს მიერ საქართველოსადმი კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე. ეს ისტორიული მიღწევაა! რატომ? იმიტომ, რომ საქართველოს და ქართველ ხალხს, ჩემს მთავრობას და ჩვენს მმართველ პარტიას ძალიან კონკრეტული გადაწყვეტილება აქვს მიღებული, რომელიც შეუქცევადია და გულისხმობს ევროპასთან დაახლოებას; ევროკავშირის სრულუფლებიან წევრობას გულისხმობს. ამ მიმართულებით მივდივართ თანმიმდევრულად, ნაბიჯ-ნაბიჯ. ამ ეროვნულ - ასე ვთქვათ - გეგმას ვუახლოვდებით“, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

## 27 წარჩინებულ მოსწავლეს კომპიუტერები გადაეცა



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების 27 წარჩინებულ მოსწავლეს, რომელთაც უმაღლესი შეფასებით დაძლიეს საბაზო საფეხური, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით კომპიუტერები გადაეცა.

დღევანდელ საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის სამკრდე ნიშანი და სივლილი გადაეცა ვურუყეთის საბაზო სკოლის ყოფილ

პედაგოგს **მერი კვაჭაძეს**. ის 57 წლის სტაჟის მქონე მასწავლებელია და 2019 წელს საპენსიო ჯილდოთი წავიდა სკოლიდან.

ლონისძიებს **ლანჩხუთის მერი ალექსანდრე სარიშვილი**, მერის მოადგილე **ეკატერინე გუჯაბიძე**, საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი **ნინო ჩიტაძე** და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

## საინფორმაციო უზრუნველყოფა მერიასში



ელექტრონული ტექნოლოგიებით ჩასატარებელ არჩევნებთან დაკავშირებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში საინფორმაციო უზრუნველყოფა გაიმართა.

61 ლანჩხუთის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **ლამა კილაძემ** დეტალურად ისაუბრა თანამედროვე ტექნოლოგიებით ჩასატარებელი არჩევნების შესახებ, პროცედურებზე

თუ როგორ უნდა მიიღოს მასში მონაწილეობა ამომრჩეველმა და ელექტრონული ხმის მიცემის უპიარატესობაზე.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა და დასასრულს იმპტირებული არჩევნები გაიმართა. შეხვედრას ლანჩხუთის მერი **ალექსანდრე სარიშვილი**, მოადგილე **ეკატერინე გუჯაბიძე** და საჯარო მოხელეები ესწრებოდნენ.

## კედაბოების დაჯილდოების ცერემონიული გაიმართა

**ალიონი.** გასულ შაბათს, ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მუზეუმის დარბაზში, მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით, ეროვნულ ჯილდოზე წარდგინილი 44 პედაგოგის დაჯილდოების ცერემონიული გაიმართა, რომელსაც განათლების რესურსცენტრის ხელმძღვანელი **ლელა ივანიშვილი** უძღვევდა.

დარბაზში შეკრებულ პედაგოგებს მიესალმნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი **აფანდი თალაგაძე** და მუნიცი-

პალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **დათი დარჩია**. 44 პედაგოგს გადაეცა სპეციალური სივლილები და ყვავილების თაიგულები. დაჯილდოებულებს მსატერული ნომრებით მიესალმნენ პედაგოგები, მოსწავლეები.

ლონისძემა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს და განათლების რესურსცენტრის მიერ იყო ორგანიზებული.



## პროექტი „მუნიციპალიტეტის მხარდაჭერა ადამიანებზე ორიენტირებული და ეფექტური სერვისების უზრუნველყოფის მიზნით“

USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის ფარგლებში, მიმდინარეობს პროექტი „მუნიციპალიტეტის მხარდაჭერა ადამიანებზე ორიენტირებული და ეფექტური სერვისების უზრუნველყოფის მიზნით“.

პროექტი მიზნად ისახავს მუნიციპალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდასა და ხარისხის გაუმჯობესებას პროცესების სტანდარტიზებისა და ადამიანზე ორიენტირებული მიდგომების დანერგვის გზით.

ინიციატივა ხელს შეუწყობს

პარტნიორ მუნიციპალიტეტებში მომხმარებელზე მორგებული, კომფორტული და ეფექტიანი სერვისების მიწოდებას ადგილობრივი მოსახლეობისა და ბიზნესისთვის.

პროექტი ხორციელდება USAID-ის ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამის მხარდაჭერით და მოიცავს 11 პარტნიორ მუნიციპალიტეტს.

შეხვედრას ესწრებოდა მერის პირველი მოადგილე **მაია კუტუბიძე**, ადგილობრივი თვითმმართველობის თანამდებობის პირებთან ერთად.



## შურა გოგუაძეს 105 წლის იუბილე მიულოცეს



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი **ალექსანდრე სარიშვილი**, პირველ მოადგილე **ეკატერინე გუჯაბიძესთან** და საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძესთან** ერთად სოფელ ნინოშვილში, 105 წლის შურა გოგუაძეს ესტუმრა და დაბადების დღე მიულოცა. მან დიდი მადლობა გადაუხადა

სტუმრებს საჩუქრებისა და მილოცვისათვის.

შურა გოგუაძეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამიდან (ხანდაზმულ, 100 და მეტი წლის ასაკის, პირთა დახმარება) ანგარიშზე 1500 ლარი დაერიცხა.

# სოფლის ცხოვრება



## ბახვი ჰესი

## კომპანია ბახვი ჰესი - ჩვენ ვზრუნავთ ადამიანებზე, ბუნებისა და რეგიონის განვითარებაზე

### თემურ რევივილი „ენერჯეტიკული ბალანსის მიღწევა და მისი მყარ სამეცნიერო პროდუქტად ჩამოყალიბება უნივერსალურად ამოცანას წარმოადგენს“



„ჰიდროელექტროსადგურები აუცილებლად უნდა აშენდეს, ობიექტური ეკოლოგიური დასკვნისა და მონიტორინგის საფუძველზე. გურიის რელიეფის და არსებული ლანდშაფტის გათვალისწინებით, უპირატესობა მცირე და საშუალო ჰესებს უნდა მიენიჭოს. ენერჯეტიკა უმნიშვნელოვანესი დარგია, მისი განვითარება გამოიწვევს სხვა სექტორების განვითარებას, მათ შორის, გადამამუშავებელი ინდუსტრიის. ქვეყნის მასშტაბით, დადებითი ენერჯეტიკული ბალანსის მიღწევა და პერსპექტივაში, მისი მყარ სამეცნიერო პროდუქტად ჩამოყალიბება, უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს“

#### თემურ რევივილი

– ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი; კახა ბენდუქიძის საუნივერსიტეტო კამპუსის დასავლეთ საქართველოს ცენტრის (ოზურგეთი-ანასეული) დირექტორი

**„გურიის მთაზე“ – ბატონო თემურ რევივილი ვერ ხერხდება ჩვენთან კონკურენტუნარიანი ფერმერული მეურნეობების ჩამოყალიბება და განვითარება, რატომ უჭირს სოფლებს?**

– პრობლემა კომპლექსურია, პირველ რიგში, ცოდნა, მენეჯმენტი, კვალიფიკაცია, გარკვეულწილად შეიძლება ტრადიციებიც ითქვას, რადგან ცნობილი მოვლენების გამო, ვგულისხმობ საბჭოთა კავშირიდან მიღებულ მემკვიდრეობას, დიდი წყვეტა გვქონდა. მოკლედ რომ ვთქვა, დაწყებული ფერმერის ვურჩევდი მეტი ცოდნის მიღებას აგრარულ სფეროში. გურიის სოფლებში სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებას ძირითადად ხელს უშლის მცირეკონტურიანი ფერმერული მეურნეობები, მათი გაერთიანების და ასოციაციებად ჩამოყალიბების პრაქტიკულად დაბალი აქტივობა, ზედმეტი ინდივიდუალიზმი, ნაკლები ცოდნა, სამეცნიერო-სამედიცინო საშუალებებით, მათ შორის, მცირე სამეცნიერო-სამედიცინო უზრუნველყოფის ნაკლები დონე.

ამ პრობლემების გადალახვა კომპლექსურად უნდა მოხდეს. ეტაპობრივად, ნაბიჯ-ნაბიჯ, რასაც მუხლჩაუხრელი შრომა და სწავლა სჭირდება. არაფერი განსაკუთრებული, არ მინდა მკაცრი ნათქვამად აღიქვას, ჩვენ შეგვიძლია, მთავარია უნდა მოვინდომოთ და უნდა გვქონდეს მზაობა და სრული წარმოდგენა რა გვინდა და როგორ.

– თქვენი ცენტრი ამ მიმართულებით გარკვეულ საქმიანობას ეწევა – რა თქმა უნდა, სოფლის მეურ-

ნეობის სხვადასხვა დარგის განვითარების მიზნით, ჩვენთან, ანუ კახა ბენდუქიძის საუნივერსიტეტო კამპუსის დასავლეთ საქართველოს ცენტრში ხშირია სასწავლო პროგრამები, დანერგებული ფერმერებისათვის, ვაწყობთ კონფერენციებს, სემინარებს. ნებისმიერ ფერმერს შეუძლია ისარგებლოს ჩვენი სერვისებით, ხშირია პრეზენტაციები რომელიც ტექნოლოგიურ სიახლეებს ეხება.

მაგალითად ანასეულში, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტში გაიმართა ავტორთა ჯგუფის მიერ შექმნილი ინოვაციური ტექნოლოგიებისა და ტექნიკური საშუალებების პრეზენტაცია, რომლებიც დამზადდა გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP Georgia) დაფინანსებული პროექტის – „პროფესიული განათლების სისტემების მოდერნიზაცია საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროში ფაზა 2“ ფარგლებში. პროექტი ხორციელდება ინოვაციებისა და ცვლილებების ინსტიტუტის, საქართველოში გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის თანაშრომლობის ოფისის (SDC) დაფინანსებით.

ლონისძობაში მონაწილეობა მიიღეს ჩაის სექტორში დასაქმებული კომპანიების და ფერმერული მეურნეობების, სახელმწიფო სტრუქტურების და აკადემიური წრეების წარმომადგენლებმა, სტუდენტებმა.

#### წარმოდგენილი იყო:

– ჩაის ფოთლის საფეხსაცმი/მომხალავი ახალი თაობის ენერგოდამზოვი დანადგარის ექსპერიმენტული ნიმუში და მისი გამოყენებით მწვანე ჩაის მიღების ენერგოდამზოვი ტექნოლოგიური პროცესი. ჩაის წარმოება ენერგოეფექტურად დარგს განეკუთვნება. მწვანე ჩაის ხარისხობრივი მაჩვენებლების ჩამოყალიბებაში უაღრესად მნიშვნელოვან როლს თბურ პროცესები ასრულებენ. პროდუქციის თვითღირებულების შემცირება რეალურად შესაძლებელია ენერგო დანახარჯების შემცირებით, კერძოდ, ალტერნატიული ენერჯის წყაროს და/ან ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენების ხარჯზე.

სიახლე დაცულია გამოგონებით: (ჩაის ფოთლის მომხალავი დანადგარი. გამოგონება № 2021 15792. საქსპატენტის ბრძანება №28-42/1, პატენტის გაცემის შესახებ, 19. 05. 2022). დამამზადებელი – ი/მ „მ. კარტოზია“ (ქუთაისი, ყოფილი ელე-

ქტრო – მექანიკური ქარხანა).

– ჩაის პლანტაციის რიგთაშორისების დამუშავებელი მცირე სამეცნიერო-ინოვაციური ტექნოლოგიური დანადგარი, რომელიც უზრუნველყოფს რიგთაშორისების გაწმენდას სარეველებისგან, მათ დაჭემატებას და მიღებული მასის ნიადაგში ჩაკეთებას, რაც ხელს უწყობს პლანტაციაში ორგანული ნაერთების და ჰუმუსის დაგროვებას, ნიადაგის სტრუქტურის გაუმჯობესებას და დადებითად მოქმედებს პლანტაციის ბიოლოგიურ პროდუქტიულობაზე;

– ჩაის ფოთლის ხელის საკრეფო მოდერნიზებული ინოვაციური აპარატი და ტექნოლოგიური პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს ჩაის ფოთლის შერჩევით კრეფას ყლორტების ჭრის სიმძლავის რეგულირების გზით, ზრდის ნაზი ღერების აღების პროცესის ეფექტიანობას და საბოლოო ჯამში მოსავლიანობას.

სიახლე დაცულია გამოგონებით („ხელის ჩაის საკრეფი აპარატი“, № 2021 15842. საქსპატენტის ბრძანება №2228/1, პატენტის გაცემის შესახებ, 15. 04. 2022).

დამამზადებელი – შპს „მეტალტექნიკა“ (ოზურგეთი).

ამ დღეებში, გაიმართა მენაიეთა-შეხვედრა სემინარი, სადაც პირველად წარმოადგინეს მწვანე ჩაის წარმოების ახალი სამანქანო ტექნოლოგია, რომლის მთავარ ეფექტს წარმოადგენს ერთეულ პროდუქციაზე ენერჯეტიკული დანახარჯების მნიშვნელოვნად შემცირება. საკითხმა ჩაის წარმოების დანერგვის უზრუნველყოფის, რომელიც სემინარს მრავლად ესწრებოდნენ, დიდი ინტერესი გამოიწვია. ცნობილია, რომ ჩაის წარმოება ძირითადად თბურ ტექნოლოგიურ პროცესებზე დამყარებული და შესაბამისად პროდუქციის თვითღირებულებაში ენერგო დანახარჯების ხვედრითი წილი მნიშვნელოვნად მაღალია.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ჩაის, სუბტროპიკულ კულტურათა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტში ავტორთა ჯგუფის (ბ.ლომიძე, თ. რევივილი, ზ. ანდლუაძე, ე. გობრონიძე, ლ. ჟვანია) მიერ ჩატარდა არსებული სახალავი დანადგარების ტექნოლოგიური და კონსტრუქციული პარამეტრების კვლევა, რომლის საფუძველზე არჩევანი შეჩერდა სახალავ დანადგარებში ენერგოდამზოვი ინვესტირებული ტექნოლოგიის გამოყენებაზე.

როცა სხვადასხვა კულტურის განვითარების დროს ენერგოეფექტურობაზე ვსაუბრობთ, აუცილებლად აღსანიშნავია, რომ გურია თავისი ლანდშაფტიდან გამომდინარე იძლევა იმის საშუალებას, რომ განვითარდეს ჰიდროენერჯეტიკა. მიმართა, რომ მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული რეგიონში არსებული პოტენციალი, შესაბამისად მცირე და საშუალო ჰიდროენერჯეტიკული ობიექტები სწორედ ის მიმართულებაა, რაც ინვესტიციებს შემოიტანს რეგიონში. ცხადია, ობიექტურად ჩატარებული ეკოლოგიური კვლევებისა და მონიტორინგის საფუძველზე უნდა მოხდეს ამ ტიპის ობიექტების მშენებლობა და განვითარება. ინვესტიციებს კი თავის მხრივ რეგიონში მოაქვს სხვა ტიპის სიკეთეები, დიდი

ინვესტიციები საკუთარი პროექტების მიღმა, ზრუნავენ ადგილობრივების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე, ქმნიან სამუშაო ადგილებს და ავითარებენ ინფრასტრუქტურას. ენერჯეტიკა უმნიშვნელოვანესი დარგია, მისი განვითარება გამოიწვევს სხვა სექტორების განვითარებასაც, მათ შორის, გადამამუშავებელი ინდუსტრიის. რაც ჩვენივე, იმ მეცნიერებისთვის, ვინც სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებითაა დაკავებული, ასევე უმნიშვნელოვანესია.

საქართველოში მეჩაიეობის საკუთარი ბაზის შექმნაზე და სარგებლიანობაზე დიდი ილია ჭავჭავაძე გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე წერდა: „ჩვენი პაეის წყალობით მიწაზე, სადაც ჩაი და მისთანა ძვირფასი სუბტროპიკული კულტურები ვაიხარებ, ფასმოკლე ჭირნახული მიწის მოცდენა დიდი შეცდომაა. დღეის იქით ჩვენ სამეზობლო ბაზარზე ამ ძვირფას ჭირნახულს შევტანდეთ და იქედან ჩვენივე საჭირო ჭირნახულს შემოვიტანდეთ ორმხრივ მოგებაში ვიქნებით“ (ვაზეთი „ივერია“, 1894 წ.).



საქართველოში პირველი მასშტაბური ჩაის სამრეწველო პლანტაციების გაშენების და სათანადოდ აღჭურვილი ნედლეულის გადამამუშავებელი ფაბრიკების აგების ისტორია 1892-1893 წლებიდან იწყება ჩაქვსა და სალიბაურში – ასე რომ ეს დარგი უმნიშვნელოვანესია ჩვენს მხარეში სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის.

ცნობისათვის: კახა ბენდუქიძის საუნივერსიტეტო კამპუსის დასავლეთ საქართველოს ცენტრი 2011 წელს დაარსდა, როდესაც კახა ბენდუქიძემ, ცოდნის ფონდის მეშვეობით, მასშტაბური რეფორმები დაიწყო საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ფუნდამენტური გარდაქმნისთვის, რაც მოიცავდა: ახალი პროგრამების საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით შემუშავებას და დანერგვას, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცნიერების დამკვიდრებას, კვალიფიციური პროფესორების და მკვლევარების მოწვევას, რომელთა ნაწილი საზღვარგარეთიდან დაბრუნდა და საქართველოში.

რეული მეცადინეობების დამკვიდრებას, კვალიფიციური პროფესორების და მკვლევარების მოწვევას, რომელთა ნაწილი საზღვარგარეთიდან დაბრუნდა საქართველოში.

დღეისათვის კახა ბენდუქიძის კამპუსი მოიცავს სხვადასხვა ზომის აუდიტორიებს, საკონფერენციო დარბაზებს, საგამოფენო სივრცეებს, ბიბლიოთეკას, ტრენინგ ცენტრს.

კახა ბენდუქიძის საუნივერსიტეტო კამპუსის დასავლეთ საქართველოს ცენტრი განთავსებულია ანასეულში.

შენობის საერთო ფართი 1340 კვ. მეტრს შეადგენს. ცოდნის ფონდის დახმარებით შენობას 2013-2015 წლებში ჩაუტარდა რეაბილიტაცია, რომლის შედეგადაც აუდიტორიები, კომპიუტერული კლასი და ლაბორატორია მოეწყო. ცენტრი ძირითადად ორიენტირებულია სპეციალური სასწავლო პროგრამებით პროფესიული გადამზადება – სწავლების, საერთაშორისო სკოლების, სემინარების და კონფერენციების განხორციელებაზე.

ანასეული მღებარეობს ზღვის

### წარმატებული ფერმერები გურიიდან – მაგალითი როგორ დაკმაყოფილოთ სიღარიბე „ინფორმირებული კეთილდღეობადა“

# რატომ ვეღარ სთავაზობს ბაზარს „ულებელა“ ულევ პროდუქციას

კოოპერატივის მეპაიეა, გაერთიანებული ჰყავთ 200 ფური. წლის განმავლობაში, დახლოებით 45 ტონა რძის გადამამუშავებას გეგმავენ. გამოუშვებენ: სულგუნს, დაწულ ყველს, იმერულ ყველს, ნაღულს, ნაღებს, პასტერიზებულ რძეს...

გაზეთ „ალიონთან“ ერთ-ერთმა მეპაიემ, დარიკო ჭვლიძემ აღნიშნა, რომ მათ საწარმოში ძირითადად ქალები იყვნენ გაერთიანებული. რაც, მათივე წარმატების მომტანი იქნებოდა, თუმცა, იქვე საუბრობდნენ იმ სირთულეებზეც, რაც მაღალმთიანი სოფლის კლიმატს და რთულ რელიეფს უკავშირდება. რომ საქონელი მალე მთაში გაირეკებოდა, რძის გადამამუშავება კი, გზის შეკეთება და რძის სპეციალური ბიღონები იყო საჭირო.

გაზეთი „ალიონი“ ზაფხულის განმავლობაში რამდენჯერმე დაუკავშირდა ზოტის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივ „ულეველას“ გამგეობის თავმჯდომარე ნევრიზ მიქელაძეს, რომელიც იმედინად იყო განწყობილი, რომ სახელმწიფო ამ პრობლემის მოგვარებაშიც დაეხმარებოდა, თუმცა ასე არ მოხდა.

ბატონი ნევრიზ მიქელაძე ოზურგეთში ჩამოვიდა და გაზეთ „ალიონის“ რედაქციაში ვისაუბრეთ:

- რძის მწარმოებელი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერი პროგრამის განხორციელებაში დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატ ნინო წილოსანს და ჩონახატურის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის ხელმძღვანელს მანანა მინდ-

აძეს. ქალბატონმა ნინომ რძის საწარმოს მშენებლობისათვის გამოვეცი ბნდა დამხმარე-სს „ზოტი ჰიდრო“, (რომელიც მდინარე ვუბაზეულზე ჰესების კასკადს აშენებს) და 2018 წლის 14 დეკემბერს გავაფორმეთ სესხის ხელშეკრულება (სს „ზოტი ჰიდროდან“ ხელს ზურაბ გორდეზიანი აწერს), რომელშიც ვკითხულობთ: „**ვინაიდან, სს „ზოტი ჰიდრო“ გურიის რეგიონის სოფელ ზოტის ადგილობრივი მოსახლეობის მხარდაჭერის მიზნით, კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში გეგმავენ რძის გადამამუშავებელი საწარმოს მშენებლობის დაფინანსებას, 10 წლით რე „ულეველას“ მისცემს უპროცენტოდ 90 000 ლარს.**

ხელშეკრულების თანახმად სესხის დაფარვის საშუალებით პერიოდი 3 წელი იყო, რომლის შემდეგ სესხის გადახდის ვარაუდის შესაბამისად, ყოველკვარტალურად თანაბარწილად მოხდებოდა გადახდები.

სამწუხაროდ, სს „ზოტი ჰიდრო“ სესხის ხელშეკრულების ვალდებულება არ შეასრულა. იტყულებული გავხდით, რძის საწარმოს მშენებლობისათვის საქართველოს ბანკიდან აველო 135 000 ლარი სესხი იმ იმედით, რომ სს „ზოტი ჰიდროს“ ხელმძღვანელობა გადმოგვირჩევდა დაპირებულ სესხს და აღებული აგროსესხს დაეხურავდით, მაგრამ ეს არ მოხერხდა და ახლა კი გვიჭირს ყოველთვიურად 1 500 ლარის გადახდა.

ნევრიზ მიქელაძე სხვა პრობლემებს გვესაუბრა:

- სახელმწიფო პროგრამის ფარ-

გლებში 6 წლის წინ არსიანის ქედთან, ბახმაროს მთების გაგრძელებაზე იჯარით გადმოგვეცა 538 ჰექტარი სათიბ-სადოვარი, რომელიც მხოლოდ ზაფხულობით 3 თვის განმავლობაში გამოიყენება. აქვეა ათასობით ჰექტარი სათიბ-სადოვარი, რომელზეც არასდროს ყოფილა გადასახადი.

სახელმწიფოს (საქ. მთავრობის დადგენილება №265, 29 მაისი, 2017 წ.) სათიბ-სადოვრებამდე უნდა გაეყვანა სამანქანო გზის დაწყების ვადა, რაც არ გაკეთებულა. თავდაპირველად ჰექტარზე სიმბოლურად ვიხდიდით 1 ლარს, ხოლო შემდეგ გადასახადი 15 ლარი გახდა. მიწის აუთვისებლობის გამო, გადახდა ვერ შევძელით და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან მოგვივიდა შეტყობინება საიჯარო ქირის გადახდის შესახებ, რამაც 2 წელიწადში 17 778 ლარი შეაფასა. ამას პირდაპირ 8 569 ლარიც დამატა.

ყოველ წელს ქონების ეროვნულ სააგენტოს, სოფლის განვითარების სააგენტოს ვუგზავნი შეტყობინებებს, რომ საიჯარო ფართობს ვერ ვითვისებთ უგზობის გამო.

ამ დღეებში კოოპერატივ „ულეველას“ გამგეობის წევრები და მეპაიეები შევიკრიბეთ და გადავწყვიტეთ ღია წერილით მიგვემართა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ლარიამაშვილისათვის, რომ იჯარის ქირის გადახდა აუთვისებელ სათიბ-სადოვრებზე იქნებოდა ტყუილი და დანაშაული სახელმწიფოს წინაშე. ამიტომ მას ვთხოვთ მოცემულ გადახდაზე გაგვეწიოს სავადასადაოდ შედგათი და დაკისრებული ჯარიმის-



აგან გაგვათავისუფლონ, შემდეგ კი დაგვიწიონ საიჯარო დაბალი გადასახადი.

ნევრიზ მიქელაძე რძის გადამამუშავებელი საწარმოში შექმნილ პრობლემებსაც გვესაუბრა:

- წელს, 20 მაისს, ტელეკომპანია „იმედმა“ მთელ საქართველოს ამცნო, რომ სოფელ ზოტში გაიხსნა რძის გადამამუშავებელი საწარმო, სადაც კოოპერატივი „ულეველა“-ყველა პირობების დაცვით, ნედლი რძისაგან დამზადებულ პროდუქციას მიაწვდიდა მალაზიებს. მალე შეკვეთები მოგვივიდა ქუთაისიდან, ბათუმიდან, ქობულეთიდან, მაგრამ მუშაობა ვეღარ გავაგრძელებოთ, რადგან მოსახლეობა მთაში საზაფხულო სადოვრებზე წავიდა და რძის საზიდი ავტოციტერნის უქონლობის გამო, რძის ჩამოტანა მთიდან ვერ შევძელით. მთა კიდობანამდე, სადაც

ძირითადად ზოტელი მემთეურებია, 17-18 კილომეტრი მანძილია.

ბანკის ვალების, სს „ზოტი ჰიდროს“ მიერ, ჩვენთან გაფორმებული ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, ვერ შევძელით მეორადი „პიკაპის“ შეძენა, რომელსაც 500-ლიტრიანი სპეციალური ცისტერნა ექნებოდა.

ჩვენ არ ვართ უმაღური ხალხი და ვაფასებთ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროგრამებით დახმარებას, მაგრამ თუ საქმე შუა გზაზე გარდება, ამოიქნება გარკვეული დახმარებაც და კოოპერატივი დაიშლება.

ჩვენი გზა, რომელიც ახლა რეალურად მიდის ევროპისაკენ, ხელისუფლებისაგან მხარდაჭერასა და დახმარებაზე დამოკიდებული - ვკითხვართ ნევრიზ მიქელაძემ.

**ნუზუარ ასათიანი**

## „ნასაყდრალი“



ისტორიული ძეგლი „ნასაყდრალი“ მდებარეობს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფ. ჯუნჯუათში, (მანჯვარეთის თემი) რომელიც ლანჩხუთის ესაზღვრება დასავლეთით. იგი მოქცეულია სოფლების: ჯუნჯურის, ორავისა და მანჯვარეთის შუაგულში. „ნასაყდრალი“ სამების მთაშია ჩაძირული. ამ ადგილის შესახებ არცერთ ისტორიულ წყაროში არ არის მითითებული. უნდა აღინიშნოს, რომ ნასაყდრალი იმდენად ძველი ძეგლია, იქაური მოსახლეობისათვის გადმოცემითაც არ არის ცნობილი მისი უძველესი სახელწოდების შესახებ. სახელი „ნასაყდრალი“ მხოლოდ გვიან პერიოდში არის შერქმეული, მას შემდეგ, რაც ეს კომპლექსი ჩამოიქცა და ნასაყდრალად იქცა.

სანამ მექნებოდა ბედნიერება აღნიშნული ადგილის ხილვის, მანამ ჩემს წარმოსახვაში, „ნასაყდრალი“ იყო პატარა ზომის საყდრის ნანგრევები, მაგრამ იქ ნანახმა მოლოდინს გადააჭარბა. ჩემს თვალწინ გადაიმალა საოცრად თვალწარმტაცი ხედი, ციხე-სალოცავის ნანგრევები, დიდი ზომის ორმაგ გალავან შემოღობული ციხის თაღოვანი შესასვლელი ექსპონატის შესახებ.

შესასვლელი შიდა სალოცავით, რომელიც ჩახერვილია ნანგრევების თლილი ლოდებით. მათგან ერთ-ერთი არის ორი მეტრის სიგრძის ქვა, სიმაღლე 60 სმ.ა. ზედ გამოკვლილია ოვალური ფორმის მსხვილი რელიეფური ხაზი, რომლის შუა ნაწილში გამოსახულია, ასევე რელიეფური, მოგრძო ფორმის ჯვარი. ირგვლივ, გალავნის შემოღარენი, დაახლოებით, 100 მეტრის დიამეტრისაა. გალავანში და გალავნის გარეთა ეზოში მრავლადაა ჩაფლული მიწით სავსე პირგადამოსხლილი ქვევრი, რამდენიმე მათგანი ადგილობრივ მოსახლეს ამოუღია კიდეც, სიღლით 30-40 ფუტის ტევადობით.

აქ მცხოვრებთა წინაპრების გადმოცემით, ციხე „ნასაყდრალი“ მე-12 საუკუნის ძეგლია უნდა ითვლებოდეს. სავარაუდოდ, რომ ეს ადგილი ეკუთვნოდა იმ ავბედით დროს, როცა მტრის შემოსევებისაგან შევიწროვებული ხალხი ძნელად მისასვლელ ციხე-სამაღავეებს აფარებდა თავს. ეს დიდი ზომის ქვევრებიც სანოვანის შესახებ გადმოიყვანებოდა. როგორც ჩანს, ციხე-სიმაგრეში სართულები ერთმანეთს უკავშირდებოდა ქვის კბეებით, რომლებიც დროთა განმავლობაში საუკუნეთა სიმძიმეს დაუნგრევია და სალოცავის შუაგულში ჩაუხერგავს.

გალავნის გარეთ, მთის ჩაყოლებზე დგას თლილი ქვით ნაშენი წისქვილის ნაშთი. აქვეა ცივი წყაროც. სავარაუდოდ, ეს წისქვილიც ამ ციხის საკუთრებას წარმოადგენდა.

ყოველივე აქ ნანახი მეტად საინტერესოა. ერთი შეხედვით კარგად ჩანს, რომ საქმე გვაქვს შუა საუკუნეების ფეოდალური ხანის ძეგლთან, რასაც სათანადო მეცნიერული კვლევა-ძიება სჭირდება.


აქვე უნდა აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი ექსპონატის შესახებ.

ეს გახლავთ ბრინჯაოს ბერძნულ-რომაული სტილის მუზარადი, რომელიც 1982 წელს სრულიად შემთხვევით იპოვა იქაურმა მცხოვრებმა და გადმოსცა მხარეთმცოდნეობის მუზეუმს. ამჟამად მუზარადი მუზეუმის ექსპონატიაშია წარმოდგენილი. იგი მიეკუთვნება საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილ იშვიათ და უნიკალურ მონაპოვარს და თარიღდება ძვ.წ. მე 5 საუკუნით. საფიქრებელია, მუზარადს რაიმე კავშირიც კი ჰქონდეს „ნასაყდრალთან“.

აუცილებელია აღნიშნული ტერიტორიის არქეოლოგიური შესწავლა, რადგანაც, შესაძლოა ამ ადგილებში კიდევ არსებობდეს უძველესი პერიოდის რაიმე საინტერესო ნივთი.

დღეს, როცა ქვეყნის განვითარების ერთ-ერთ პრიორიტეტად ტურიზმია მიჩნეული, ვფიქრობ, „ნასაყდრალი“ ამ მხრივ მნიშვნელოვანი და საამაყო მხარის ისტორიისათვის.

**ლალი რამიშვილი,**  
ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ თანამშრომელი



**ბრინჯაოს მუზარადი ძვ. წ. V-IV სს.**

## მადლობა ბატონ თემური მახარაშვილს

წლების შემდეგ დედაქალაქიდან მშობლიურ სოფელში დაბრუნდი და სოფლის მეურნეობის ადგილას მიგვევი ხელი. მიწის სამუშაოების შესრულებისას გუთამანა ორ ადგილად დააზიანა ბუნებრივი აირის მილი.

სამწუხაროდ, კვალიფიციური სპეციალისტის პოვნა გაჭირდა. შემდეგ დახმარებისთვის მივმართე სამეგრელო-გურიის რეგიონალური ოფისის ოზურგეთის სერვისცენტრის საქს-

პლოტაციო სამსახურის პირველი ჯგუფის უფროსს **თემური მახარაშვილს**, რომელმაც გულთხად და საქმის სიყვარულით შეასრულა სამუშაო და აღადგინა ბუნებრივი აირის მიწოდება.

ულრმესი მადლობა მას გულისხმიერებისათვის.

**ილია ღონამე,**  
სოფ. ლიხაური

## ხსოვნა

## დავით სურგულაძის ხსოვნას



სოფელ ნაღობილეს დააკლდა კიდევ ერთი სასახლო შვილი, მზრუნველი მამა და კარგი მეგობარი **დავით სურგულაძე**.

იგი წლების მანძილზე მუშაობდა მიწათმოქმედებად. უფალმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

**მემორიალი**

**იდუმის კონკურსი**  
**ციხის მდგრადი მართვისთვის**

ციხის მდგრადი მართვის რეკონსტრუქცია

სატყეო განათლება

ციხის არამდგრადი რეკონსტრუქცია

რეკრეაცია და ეკოტურიზმი

**ონდანი საკონსულტაციო შეხვედრები**

**14 და 15 ნოემბერი**  
**14:00 სთ**

ციხის დაცვა (ხანძრისა და სხვა)

სადოვრების მართვა

ხვედრის ბმული

# ორი ზერილი ერთი დიდებული კაცისა



2022 წელს საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ **გურამ შარაძის** ორტომეულის „ძველი გურიის“ პირველი ტომი გამოცხადა. მე, თავიდანვე ხებთან გურულს რა მომსვენებდა „ქართული მეცნიერების ისტორიის“ სერიით გამოცემული ნაშრომს გულდასმით არ გავცნობდი.

გავეცანი და რამდენიმე სტატიის, საჯარო ლექსის მოზადებისას სათანადოდ გამოვიყენე კიდევ; მათ შორის **გრიგოლ რობაქიძის** ნაწარმოები გახლდათ გურუას რომ ეხება.

ბატონი გურამი წერს: „მე არ შეეულება გურიისა და გურულების ისეთი სრული და სწორუბოვარი დახასიათება, როგორც მოგვცა გენიალურმა გრიგოლ რობაქიძემ ვერ კიდევ 1917 წელს წერაღმდამ „გურია და სოციალიზმი“. ვფიქრობ, საქართველოს არც ერთ კუთხეს და არც მის შვილებს არ ღირსება ასეთი ბრწყინვალე პორტრეტის დახატვა, როგორც მოგვცა გენიალურმა მწერალმა გურამი. სამშობლოში ცხოვრება რომ დასცლოდა, გრ. რობაქიძე უძველესად საქართველოს ყოველ კუთხეს მოუძებნდა საჭირო ფერს და საღებავს თავისი უძღვედრესი და სწორუბოვარი სიტყვიერი პალიტრიდან, რითაც საბოლოოდ მოგვცდა ჩვენი მრავალფეროვანი სამშობლოს კუთხეთა ძვირფას-თვლემიანი მოზაიკის სრულყოფილ სურათს. ოღონდ, ბედის უკუღმართობის გამო აღიარებულე ემერატოვანი მოხვედრის მწერალმა ეს ვერ მასწრო, მაგრამ რაც მასწრო, მართლაც რომ შეუღარ-უბედა“.

სწორედ ასეთ წინათქმას მოსდევს გრიგოლ რობაქიძის აღნიშნული წერილი, რასაც მეც საიმედოებით გავიმოურებ, თუმცა, მანამდე გრიგოლ რობაქიძის სტატიის პირველწარმოზე ვთქვით რამდენიმე სიტყვა.

სტატია პირველად საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის გაზეთ „საქართველოში“ (10 დეკემბერი 1917, 269) გამოქვეყნდა, თუმცა, მე, პირველად, „საქართველოს რესპუბლიკის“ 1998 წლის 25 ანვრის ნომერში ( 20 (2730) შეიძლება, ითქვას „საქართველოს რესპუბლიკის“ ეს ნომერი, მიხეზა გამო, მეტად ცნობილი გურულის 70 წლის თბილეს ეძღვნება და ცოტა არ იყოს უწყველოა გრიგოლ რობაქიძის „გურია და სოციალიზმის“ გადმოტეხვა) წაიკითხე.

დღესაც წაგიკითხე, ასეა წასაკითხად თქვენც ვთავაზობ და თანაც აქვე გიმხვლი, წერილს, ყოველგვარი შესაღლის (ჩემი, რასაკვირველია) გარეშე გრიგოლ რობაქიძის მეტად მნიშვნელოვან ნაწარმებს მივყავარ, ცნობები ყმწების კვირულ საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი „პარიკადმა“ (გამოდიდა 1920-1924 წლებში), რომ დაიბეჭდა და ნიე ფორმანის ეხება.

პიროვნების დახასიათების ნამდვილი კლასიკა!!! - მენდელ!

„ლამაზი კუთხეა გურია საქართველოსი. მისი ლანდშაფტი სამშუხოვანი

სივრცე-გაშლილი სინთეზია, მოქნილი მიხეი, ბანმაროსკენ თანდათან ზვიადობით ამართული, თვალუწყუნევი ჭკალადი, სამეგრელოსკენ ძლევაძოსილებით გაფენილი, მოშორებით შავი ზღვა, ეს უხვად გამდნარი მუქი ზურმუხტია. გურიაში მოიძებნება ისეთი პუნქტი, საიდანაც ადამიანის მჭვრეტი თვალი სამშუხოვან ლანდშაფტს ერთს ესთეტიკურ სარკველში გაატარებს მძფერი სიტკბოებით. განსაკვირვებელია გურიის ნელი სირბილე: იქ ვერ მონახავთ ვერცერთს „მფივალა“ ფერს, იქ ვერ იხილავთ ვერც ერთ უხემს ხაზს; იქ ყოველი ნაკვითი რბილია, ნახი, მზატე, ნარნარი; თვითონ მიეციც კი გურიაში მკაცრი ნატეხობით კი არ არის ამართული, არამედ ხვედრდოვანი სირბილით. განსაკუთრებით კვაკლუცია ჩაქვისკენ მხლობული მიდამო, ხოლო ეს სიკვაკლუცე უფრო მიმწიდევილია, ვიდრე იმეურლი ხტობით ნაყარი.

ძველი მესხეთის ნატეხია გურია. ამის ნიშანი ბგერი არის. თავდაპირველად „ქართული“. გურული ქართველი ლაკონიურია რუსთაველის სამშობლოს სიტყვადავით. საქართველოს არცერთ კუთხეში ისე სხატულად არ ლაპარაკობენ, როგორც გურიაში. გურული სიტყვა უადრესად ეპიგრამატულია: მოკლე, მჭავი, კვილი, ჭლეული. თვითონ რუსთაველიც გურულზე სხვადასხვა ქართველებზე უფრო იცინა: გურიაში არის ოჯახები, სადაც „ვევხისტყაოსნის“ ზეპირი ცოდნა უბრალო ჩვეულებაა. გარდა ამისა, „ვევხისტყაოსნის“ ზოგიერთი სიტყვა, რააც საქართველოს სხვა კუთხეებისათვის გაუგებარია, გურიაში უბრალოდ მუსაიფის ფაშს გვხვდებოდა კიდევ: ძველ მესხთა შირობა გურულეზისთვის ისეთივე მოთხოვნილებაა, როგორც საბო გასივრება.

ამაყა გურული: გურიაში ძალზედ არის განვითარებული გრძობა თავის თავის ღირსების. არისტოკრატიზმი — „ჩრეულობა“ — გურულთა „რასის“ მთავარი ნაკვია. ამ მხრივ თავადაზნაურობასა და ვლეხობას შორის თითქმის არ არის განსხვავება „ყოველს გურულს უყვარს თავის გამოჩენა“. გურულებში ძალზე არის ნაგრძობი „მანძილის პათოსი“ (ნიცმუსი). ამაყობა და გამორჩეულობა „რბილ“ გურულს სასტიკად ხდის: ფირაღად გაყარდნა გურიაში ჩვეულებრივი მოვლენაა, — ფირაღობას კი უშთავრესად ხასიათი უდევს საფუძელად. გურულს გარეგნობაც რჩეული უყვარს: ძვირად თუ ვინმე ქართველი ისე ლამაზად ჩატული გამოვა, როგორც გურული. ცნობილია გურიის სიღარიბე, მაგრამ მოხუცდავად ამისა, საქართველოს ვერცერთის ზეა კუთხეში ვერ მონახავთ გურული „ოდის“—თანა კოსტობას კვაკლუცად მორთული ეზოთი.

მზატე და ფიცხია გურული. ბგერს ეს თვისება სიღრმის უქონლობად მაჩნია. არ არის მართალი. გურულის სიზმატე და სიფიცხე სხვა გვარია, ვიდრე სიზმატე და სიფიცხე „პირანდილი“ (კულტურა გაუვილი) საქართველოსი. პირიქით: გურია მეკვიდრეა ნელი და მაგარი წინაპრის: მას მხოლოდ „ემატება“ კულტურული სვლა, მისი სიფიცხე მხოლოდ ჟესტია არისტოკრატიული ზვიადობის. მართალია, გურული ვერ შექმნის გერმანელის სიღრმეს, რომლის სიძლიერე შეიძლება მხოლოდ უზარმაზარმა, დაკორძილმა და დაფრავნილმა ხემ გადმოგვეცეს, მაგრამ გურულს არც უყვარს „გრაფნილი საკორძე“ მისი გენია უფრო პლასტიკური ზოლებით იკვეთება, — და ხალხთა შორის გურული უფრო რომაულ რასას ენათესავება, კრძოდ ესანელებს, თავის ქედმაღალი ტემპერამენტით. ერთადერთი დამაფიქრებელი გურულის ნიჭში შევძევთ: გურიაში თითქმის ყველა ნიჭიერია, აქ არ არის „უფრსკრული გათხრილი პიროვნებასა და მასსას“ შორისთუ მივიღებთ როგორც ბგერს ჭონია, ვითომ კულტურის ზრდაში არის


საჭირო ერთგვარი მანძილი „პიროვნებასა“ და „მასსას“ შორის, მაშინ გურულის შემოქმედება, რასაკვირველია, საკვირვარება სიძლიერეში. ყოველ შემთხვევაში ეს პრობლემა და არა დიდებული ფაქტი. ჩემი პირდი მოსაზრება ამგვარია: გურულის ნიჭი ვერ კიდევ შემკვიდრეობის პოტენციით იმლება და მისთვის გურიაში თითქმის ერთნაირად ნიჭიერნი არიან ყველანი. მაგრამ, როცა გურული შემკვიდრეობას მხოლოდ „გამოიყენებს“ ახალი ძალების ამოძრავებით, მაშინ გურულთა შორის აუცილებლად აისახება ის მანძილი, რომელიც კულტურის ვითარებით თავსა ჰყოფს „შემოქმედ პიროვნებას“ და „ფართო მასსას“ შორის. აღნიშნულ დახასიათებას თითქოს ერთი ფაქტი ეწინააღმდეგება: როგორ? გურია და არისტოკრატიზმი?! განა გურიაში არ განაშტკაცა საქართველოში სოციალისტური სწავლა, რომელიც სრულიად ეწინააღმდეგება არისტოკრატიული წარჩინების მიდრეკილებას?! და მართლაც, სოციალდემოკრატიული საქართველოში გურულებმა შექმნეს. ვერ მარტო თაოსანთა გვარები: ინგოროვან-ნილოშვილი, ნიე ჟორდანია, მანარაძეები, ოთხი რამიშვილი, ცინცაძეები, სილიბისტრო ვიბლაძე, ბენია ჩინტიშვილი, შარამიძეები, ხომერიკი, ნინიძე, ჟორჯოლანი, დილოძიძეები, კილაძეები, ლალიანი-მაზაღრაშვილი

ასეთია ფაქტი, მაგრამ მე მფონია, ეს ფაქტი ოდნავაც არ ეწინააღმდეგება აღნიშნულ დახასიათებას: პირიქით, იგი სავსებით გამოდის უკანასკნელისაგან. წარმოიდგინეთ შემკვიდრევი ძლევაძოსილი წინაპრის, რომელიც ნიეთიერი ყოფის უმწიფობას განიცდიან სწორედ ისინი არიან გამწაღილი სოციალიზმის მისაღებად: მათ სხვაზე უფრო ესაჭიროებათ მდიდარი მატერიალური ყოფა, ისტორიულ თანდათანობას ისინი ვერ შეურიგდებიან. ამისათვის მათ აკლიათ უკულტურის თქმა და გემოს არ ცოდნა, — „არიდემღის ვიცადათ?“ აი მათი დამახასიათებელი საკითხი. სწორედ ასეთ შემკვიდრეებს წარმოადგენენ გურულები: ისინი გამოდენენ სოციალისტებად, რადგან სულით უადრესად აზნაურნი არიან და ყოფით ღარიბნი. თანვე ისიც უნდა დავეუბლოთ, რომ მათ მიერ სოციალიზმის მიღებას ხელს უწყობდა უთუოდ ზემოაღნიშნული თვისება: ერთნაირად დაჯილეობა ნიჭით. ეს „ერთნაირობა“ ფსიქოლოგიური პირობა სოციალიზმის მიღებისათვის და მოუხედავად იმისა, რომ გურულები სოციალისტური სამოსელით გვკვირვებინან, მათი ფსიქიკა მაინც აზნაურულია: კმწალაგერი შეიძლება ამომართო გურულში, მაგრამ „წარჩინებულობის“, „ჩრეულობის“ გრძობას მათში ვერაფერ ამოშლის: გურულის სიამაყე „პათოსის მანძილის“ (იგიულისხმება „ჩემსა“ და „სხვებს“ შორის).“

\* \* \*

### „ნიე ჟორდანია

ჟორდანია პროფილი ძველი ღერობა სურნელოვან პერგამენტზე. მისი სახე თეთრი მუღალიონა მოხუცი ბიბლიის. მსმში მოსწანს კეთილშობილი რასის: ქაღაღის ველებში გამოხურეხული და კავკასიონის კალთებით განვლებული. ქურუხები ძველად ღმერთებს ალბათ ასეთი სახით ელაპარაკებოდნენ. არის ჟორდანია პროფილი უცნაური სირბილე: არა მარტო გურიის ველებში: არამედ მთელი იბერიის მიწის. ჟორდანია რასის-ული ტიპა საქართველოსი. რუსთაველის ტიტილ რანდის ყოფის გადამლასხველი: მაგრამ მოხუცდავთ ამისა გულწრფელია მეტად. თეთრი გიორგი ტაღჭზე მუღამდარე მხვლით ჰკვეთავს ვეშაპს და ამავე ღროს მის თვალში ნათელი ბაგმის გვერდული მზერა. გიორგი საკატე რისხვით შემართებული საქართველოში ბოლოს და ბოლოს გამოხაჯისა. მე მიყვარს ჟორდანია აცეცხლება: მაგრამ მის ანთებაში ტემპერამენტია სათნოების და არა ცეცხლი საივს.



ეს ხაზი ქართული ხასიათისა უკანასკნელი დარბილება ვვაროსანი ნების. სრულიად გამართლებულია აქ ქაშვეთის გახსენება. ქაშვეთი ესთეტიური ფორმულა ქართული ყოფის ერთი მთავარი ნაკვეთის. მისი მორცხვი ტანის ქაღაღის ხაზებში ფორდანია პროფილიც არის უთუოდ ასაკული. ქაშვეთის უცხო ფრინველსავით დასტრიალებს თავს საღმულო ცოდნა: საქართველო ხვედრია ვვარცხული დღის. ეს არის ლეგენდა: მაგრამ ლეგენდაში უფრო მეტი სინამდვილე ვიდრე გაზეთის ქრონიკაში. ლეგენდა იგი გაცხელებულია ნინოს განითამთრალი ვვართი და ნელად დაღობილია ქეთევანის სურნელოვანი ცრემლით. ჟორდანია სირბილე მე ამ ხაზებში შესახება. მე მესმის ჟორდანია წუხილი შევილის დაკარგვის გამო (ლენინს ასეთი წუხილი არ შეუძლია). ამ წუხილში მე ვხედავ სიახლოვეს მიწასთან: რომელსაც ჩვენ დღეს ვუწოდებთ. მე არ ვიცი: ჟორდანია ლოცულობს თუ არა. მაგრამ მე ვიცი რომ მრავალი ლოცულობს მისთვის (გამაგებინეთ ვინ ლოცულობს ლენინსათვის?) და ისევე ჩვენს დღეს არ ავიწყდებათ ჟორდანია და ჩვენი ბაგმები ასევე პირველად ალბად მას იფონებენ.

სწორედ ამ ხვეულებში იქცა ჟორდანია დიდი ქართველის ფიგურად. მართალია: ისტორია შექმნის ისტორიულ ფიგურას: მაგრამ ვერ პიროვნება უნდა იყო რომ ისტორიამ აგინჩიოს. ჟორდანია იმთავითვე ჰქონდა დიდი ნიჭი ინტელიციის. ეს ნიჭი პოლიტიკაშიც ისევეა საჭირო როგორც პეტერს შემოქმედებაში.

ჟორდანია პირველმა იგრძნო სავსებით, რომ ბატარა ერის ბიოლოგიური ენერგია განსაზღვრულია და მისი ცხოვრების განვითარება შესაძლოა მხოლოდ გარეშე ძალების დახმარებით. ცხადია, იმ ცოცხალი ძალების, რომლებიც იკვდება ერთა სოლიდარობა. ამ ძალების წარმოშობი ინტერნაციონალური დემოკრატიკაა. ჟორდანია შემოიტანა საქართველოში ინტერნაციონალიზმის იდეოლოგია. იგი ყოველთვის ხაზს უსვამდა ინტერნაციონალიზმს საქართველოს პოლიტიკაში. მაგრამ ხაზგასმა აკცენტუაციკა ფსიხოლოგიური და ხმარად მის ხელში ვოხი მიყრე მხარეს იხრებოდა: ინტერნაციონალიზმი ანაციონალიზმში გადადიოდა. აქ არის სათავე

ჟორდანია ნაწიერების წინააღმდეგობათა. მაგრამ ეს „წინააღმდეგობანი“ ზედაპირა მარტო ოდენ. თავი და თავი მის აზროვნებაში (შესაძლოა ქვეშეცხული) სხვაა: საქართველოს ნაციონალური იდეოლოგია შეიძლება იყოს მხოლოდ ინტერნაციონალური გეზით გამართული.

არსად ისე აშკარად არ გამოჩნდება ისტორიის დიალექტიკა ჰეგელის მიერ შეცნობილი როგორც საქართველოს ცხოვრებაში. ისტორიის ორაციონალობა სხვათა შორის იმაში რომ ერთში იბრძვის ორი მაგრამ მიუღისათვის ორივე საჭიროა. საქართველოს ნაციონალური იდეოლოგია

სამნილად ებრძოდა თითქმის ანაციონალიზმში გადასული ინტერნაციონალური იდეოლოგია: მაგრამ ისტორიული გონება საქართველოსი ორივეს შეიცავდა და დღეს უკვე ნათელია რომ საქართველოს ხსნისათვის ორივე მიმართულების ბრძოლა იყო აუცილებელი.

ამ ისტორიულ გონებას არის ზარბული ჟორდანია ინტელექტი. კიდევ უფრო მძფრია მიყრე ხაზი ჟორდანია პოლიტიკური აზრის: საქართველოს ხსნა მხოლოდ დასავლეთშია. ჟორდანია დასტური დასლო საქართველოს რუსეთთან შეერთებას მხოლოდ იმიტომ რომ, რუსეთის სამხალდეზით ვერაპას ვიზარბილი. ხოლო იგივე ჟორდანია იყო პირველი მომხრე საქართველოს რუსეთისაგან გამოცალკეების მხოლოდ იმიტომ რომ რუსეთი აზნაში საბოლოოდ ჩატოვებას ვეპირებდა. აქაც როგორც სხვაგან მხვლია მისი ინტელიცია.

ჟორდანია ტრიბუნა: თუმცა მას ენა არ ემორჩილება. ამ შემთხვევაში შეიძლება იგი ძველ მოსეს ჰგავდეს რომლის ხვედრია შშობილი ერის აღიქმულ ქვენისკენ წაყვანა. მაგრამ თუ ჟორდანია თქმა არ ეხვრება სამაგიეროდ მას წერა უჭრის ძალზე. ქართველი პოეტიკისათვის საამაყო პირდაპირ რომ რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე მწერალია ნამდვილი. თუ სტალი არა, ჟორდანია წერის მანერა უთუოდ აქვს. მის ნაწერში არ არის არც კორძანი ხაზი და არც დაფრავნილი ხვეულება. იქ ყოველი სიტყვა სადათ მოკვეთილია და ყოველი ფრაზა სხარტად გამოჭრილი. ჟორდანია უფრო ლაპარაკული ფორმულებით ლაპარაკობს ვიდრე დისკურსული პერიოდებით.

მის ფორმულებში მოხუცნალური პრიმიტივის ქებაა. თავის ლაკონურ ფრაზაში ჟორდანია ეტყობა უთუოდ რომ იგი მესხეთის მოსაზღვრე კუთხის შვილია. მას არ უყვარს სინდულე და სხულს განწყება: მის სიტყვაში ჰვირავალი სინათლეა და სხულიანი კონკრეტობა. ამ მხრით იგი ფრანგებს უახლოვდება. საკვირველი არ არის რომ ჟორდანია პირველს შემოიღო საქართველოში ფრანგული ჟურნალიზმი.

გაზ. „პარიკადმა“, 1920 წლის 25 ოქტომბერი, 2.

\* \* \*

წავეკითხე დედაჩემს გაზეთ „ალიონში“ გადასავაზნად გამწადებული წერილი.

წავეკითხე და რომ იტყვიან „ყუცი განაჩენს“.

დღეს დიდხანს.

უფრო დიდხანს ვიდრე ჩვევია და უცხებ:

„მართალი ხარ გიო, არ უნდა შენი სიტყვები ამ წერილებს. არც გურამ შარაძის წინათქმას უნდოდ რამე“

ჰოდა, მეც მეტს არაფერს ვამბობ აზვრზე, რასაკვირველია.

გიო კილაძე



# ამბავი ორი მოთხრობის მსგავსებისა და განსხვავებისა

დასაწყისი „ალიონი“ №17-21, 23-24, 25



იოსებ სტალინის არ უყვარდა არც ფილიპე მახარაძე და არც სერგო ორჯონიკიძე. რა იყო ამის მიზეზი, სამივემ კარგად უწყობდა. სამივემ ეს საიდუმლო თან წაიტანა სამარეში.

\*\*\*

ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საქმის ორივე გამოძიებამ და ორივე სასამართლო პროცესმა (რუსეთის იმპერიის ხელისუფლებისა და საბჭოთა ხელისუფლების დროს) უპასუხოდ დატოვა ბევრი კითხვა. მათ შორისაა – ილია ჭავჭავაძის მკვლელობის დეტალები.

საყოველთაოდ გავრცელებული ვერსიის მიხედვით, ილია 1907 წლის 30 აგვისტოს სოფელ წიწაძურთან მოკლა ტერორისტთა ჯგუფმა. სოფელ წიწაძურთან დათქმულ ნიშანზე თვით ლაბაურმა ეტლი გააჩერა და ფეხზე წამოდგარი ილია ერთ-ერთი ტერორისტის, კერძოდ, ვიკტორ ბერბიჭაშვილის მიერ ბერძანის თოფიდან გასროლილმა ტყვიამ იმსხვერპლა. ტყვია ილიას შუბლში მოხვდა. სულ სხვა დგინდება ილია ჭავჭავაძის გვამის გაკვეთის აქტიდან:

**1907 წ. 31 აგვისტო. ილია ჭავჭავაძის გვამის გაკვეთის აქტი**

31 აგვისტო, 1907 წ. აქტი. მე, დუშეთის მაზრის გამომძიებელი, გამოვცხადდი სოფ. გურამიანთკარში, ქვემოთ აღნიშნული მოწმეების თანდასწრებით და დუშეთის მაზრის ექიმის მეშვეობით ჩავატარე თავად ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძის გვამის გაკვეთა.

**გარეგანი დათვალიერება**

მიცვალებული (ცხედარი) ასვენია მაგიდაზე საკუთარ სახლში. აცვია რუხი ფერის ყილეტი და შარვალი, ფერადი კვართი და თეთრი საცვალი, კისერზე გახაშული თეთრი საყელო, რომლის გარშემო დევს ბაფთა – გახსნილი ფერადი ბატისტის ყელ-სახვევი. მარცხენა ხელზე გახაშული მანუქი მოხსნილია, მარჯვენაზე მანუქი მოძობილია და ჩამოკიდებულია საკინძის კვართზე. ფეხზე აცვია წინდები და დაბალყელის ჩექმები. ყილეტი, კვართი და მანუქი გასისხლიანებულია. სახეზე და შუბლზე სისხლის ზოლები აქვს. გასისხლიანებულია აგრეთვე გულმკერდის ზედა ნაწილი, მარცხენა გვერდი და ორივე ხელის მტევნები. მიცვალებული სწორი აგებულებისაა; მუცელი წინა წამოწეული... სხეულის დანარჩენი ნაწილები სწორი აგებულებისაა.

გულმკერდის არეში აღინიშნება ცეცხლსასროლი გამჭოლი ჭრილობა, რომლის ერთი ზერელი მოთავსებულია მარჯვენა ტუპუს დვრილიდან ოდნავ შიგნით, ხოლო მეორე – მარცხენა ილიის უკანა კიდებზე; პირველი ოვალური ფორმისაა, მისი უდიდესი ზომა კანზე სამი სანტიმეტრია, მეორის ზომა ილიის კანზე შედარებით მცირეა, გამავალია ნეკა თითისათვის. შუბლის მარცხენა ნახევარში აღინიშნება ოვალური ფორმის დაუფიქრი ჭრილობა, დამავალი ძვლამდე, ოთხი სანტიმეტრის სიგრძის, ორი სანტიმეტრის სიგანის. აქ ძვალი ჩატეხილია და მარცხენა ნაწილით ჩაწყულია ქვემოთ. ჩატეხილი ძვლის უდიდესი დიამეტრი ერთნახევარი გოჯია, მოტეხილობის ზედა, მარცხენა და ქვედა კიდებები მდებარეობს ქალას სარქველზე დაბლა, ხოლო მარჯვენა ნაწილი შეერთებულია ქალას სარქველთან, შეერთება არამტკიცეა, რის გამოც მოტეხილი ძვალი მოძრავია. კანის ჭრილობის კიდეები არასწორია, მოშავო ფერისაა და მშრალი. მის

ქვეშ ძვალზე აღინიშნება გამოყოფილი სისხლის თხელი ფენა. მარჯვენა წარბს ზემოთ მდებარეობს მეორე დაუფიქრი ჭრილობა, ისეთივე ხასიათის, როგორც პირველი. ეს ჭრილობა აღწევს ძვლამდე, მაგრამ ძვალი დაზიანებული არ არის. ამ ჭრილობის სიგრძეა სამი, სიგანე ერთი სანტიმეტრი.

სხვა დაზიანება სხეულზე არ არის. გვამური ლაქები და სხვა ნაადრევი გახრწნის ნიშნები არ აღინიშნება. გაშუშების კვალი ჯერ კიდევ შეგრძნობადი ხელზე...

**შინაგანი დათვალიერება**

გულმკერდის ღრუ. გულმკერდზე ცეცხლსასროლი ჭრილობის უბანში კანქვეშა ქსოვილი მოშავო ფერისაა გამოხადენი სისხლისაგან. მარჯვენა მესხეთე ნენის მკერდის ძვალთან შეერთების ადგილი დამსხვრეულია. შემდეგ ტყვიამ გაიარა გულის პერანგში, გულის პარაკუჭების ზედა ნაწილებში და მარცხენა ფილტვის ქვედა წილის გავლით გამოვიდა გარეთ მარცხენა ილიის მიდამოში. გულის ორივე პარაკუჭის კედლების ზედა ნაწილები გარდაქმნილია ნაფლეთებად. გულის მოცულობა არ არის გადიდებული, მაგრამ მისი კედლები გათხლებულია და გადაგვარებულია ცხიმოვან ქსოვილებად, მარჯვენა პარაკუჭის კედლის სისქის სამ მეოთხედს ცხიმი შეადგენს, მარცხენა პარაკუჭის წინა კედელს მწვერვალთან ახლოს აქვს ხარის გამომხარი ტყვიის სისქე, ის მკვრივია, მოთეთრო ფერისაა და წინ გამობერილია მცირედად. გულის კედლის ამ ნაწილზე თითის დაჭერით ეს უბანი ვარდება შიგნით და თითის ადებით გარეთ, როგორც რეზინის ბურთი. მიკროსკოპულად ანევიზმული გამოხეობა მოგვაგონებს მკვრივ და ღრუკად შემაერთქსოვილოვან წარმოქმნს. მარჯვენა ფილტვის პლევრა შეხორცებულია გულმკერდის გვერდით კედელთან; მარცხენა მდებარეობს თავისუფლად. ორივე ფილტვის მოქნილობის და სიფაფუკის ხარისხი დაქვეითებულია, პერიტი არ არის გადავსებული. ორივე ფილტვის ქვედა ნაწილები სრულიად უჭარბოა, რის გამოც მათმა ქვედა კიდებმა კანის სიმკვრივის ბრტყელი დანამატის სახე მიიღეს. ფილტვები განაკვეთზე მოთეთრო-მოწითლო ფერისაა. გულმკერდის ღრუ შეიცავს დიდი რაოდენობით შედეგებულ და თხიერ სისხლს. მუცლის კედელი შეიცავს ცხიმის სქელ შრეს. თავისა და მუცლის ღრუები არ დათვალიერდა, რადგან სიკვდილის მიზეზი ნათელია.

**ღრუშის მაზრის ექიმი იაშვილი. გამოძიებელი. ე. დიდუკეძე**

**მოწმეები:** სოფ. გურამიანთკარის მცხოვრებნი, გლეხები სიმონ ჩხაშილი და ვასილ ნარიშანიძე, ორივე წერა-კითხვის უცოდინარნი.

**მოსაზრება:** ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძის სხეულზე სამი ჭრილობაა: ერთი ცეცხლსასროლი, გულმკერდის გამჭოლი. ჭრილობის არხი მიმართულია წინიდან უკან და მარჯვნიდან მარცხნივ. გასროლა ალბათ წინიდან მოხდა. სიკვდილი განვიხილეთ ამ ჭრილობისაგან გულის დაზიანების შედეგად. ორი ჭრილობა, მდებარე თავის ქალას უთმო ნაწილში, მიყენებულია ბლავი სახით. ერთი ამ ჭრილობათაგანი, რომელიც გართულებულია თავის ქალას ძვლების დაზიანებით, მიეკუთვნება მძიმე და სიცოცხლისათვის საშიშრო დაზიანებას; მეორე ჭრილობა უნდა მიეკუთვნოს მსუბუქ დაზიანებათა ხარისხს.

გარდაცვლილ ილია ჭავჭავაძეს

გული და ფილტვები ჯან-მრთელი არ ჰქონდა. გულის კუნთი გადაგვარებულია ცხიმოვან ქსოვილად და მარცხენა პარაკუჭის წინა კედელი გაფართოებულია ანევიზმულად. აღწერილობით ნაწილში მე დამავიწყდა აღმენიშნა, რომ მარცხენა პარაკუჭის ენდოკარდი გასქელებულია, მორუხო-მოთეთრო ფერისაა, მკვეთრად გამოირჩევა მარჯვენა პარაკუჭის ენდოკარდისაგან, უკანასკნელს აქვს ხორცის ფერი შესახებობა. მარცხენა პარაკუჭის ენდოკარდის ზედაპირი, ნახევარმთავრისებური სარქველები და აორტის შიდა გარსი გლუვია, ხორკლების გარე-შე, ნახევარმთავრისებური სარქველების ფუძეები გასქელებულია და მკვრივი. დიდი ხნის სიცოცხლე არ დარჩნოდა სამოცდაათი წლის მსოფლიან პოეტს. მისი ავადმყოფი გული განგმირულია მტრის ტყვიით. ამ გულს შეიძლება ეტყუარა კიდევ რამდენიმე თვეს, ან წელიწადს.

რაც შეეხება ცეცხლსასროლ იარაღს, რომლითაც მოკლეს თავადი ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძე, არ შეიძლება იმის დანადგვილებით თქმა, თუ როგორი იყო ეს იარაღი. თავად ჭავჭავაძესთან ერთად მოკლული იქნა მისი მსახური, რომლის სხეულიდან ამოღებული ტყვია მრგვალია, სიდიდით ჰგავს ტყვიას, როგორიცაა იტენება კაჟიანი თოფები. თავად ჭავჭავაძისა და მის მსახურისათვის ცეცხლსროლი იარაღით მიყენებული ჭრილობების ზერელები სიდიდით და ზოგიერთი სხვა თავისებურებით დაახლოებით ერთნაირია. გვამების გაკვეთის პრაქტიკით ვიცი რომ ბერძანთი, ახალი ნიშნის საშხაზიანი შაშხანით და უბრალო არასწრაფსროლი იარაღით მიყენებულ ჭრილობათა თავისებურებანი, მე ვგარდავს, რომ თავადი ჭავჭავაძე მოკლულია უკანასკნელი სახეობის იარაღით.

**ღრუშის მაზრის ექიმი იაშვილი.**

დავიწყით იმით, რომ ილია ჭავჭავაძის სხეულის ექსპერტიზით დადასტურებულია, რომ ილიას მარცხენა ნენების არეში (ილიის ქვეშ) აქვს მცირე დიამეტრის ზერელი, მკვრის არეში (მარჯვენა ტუპუს დვრილთან) – დიდი ზერელი. ტყვია სხეულში შესვლისას ტოვებს წვრილ ზერელს, სხეულიდან გამოსვლისას კი – გაცილებით დიდს. ამდენად, ექიმ იაშვილს უზუსტობა მიუყვია. ილიასათვის წინიდან რომ ესროლა, მაშინ მცირე ზომის ზერელი მკვრის არეში ექნებოდა, დიდი ზომის კი – ილიის ქვეშ. გვამის გაკვეთის აქტიში ვერაფერი პირიქითაა, ე. ი. ილიას ზურგიდან ესროლეს. აღსანიშნავია ისიც, რომ ილიას ტყვია შუბლში არა აქვს მოხვედრილი. ეტლიდან გადმოვარდნის შემდეგ ილიას ერთ-ერთმა ტერორისტმა შუბლში ორჯერ ჩაარტყა შაშხანის ლულა, იმ მიზნით, რომ დაწმუნებულიყო, მკვდარი იყო თუ არა. შუბლის არეში მიყენებული არც ერთი დარტყმა სასიკვდილო არ იყო. ექსპერტიზით ასევე დადგინდა, რომ ილია მოკლულ იქნა ტყვიით, რომელიც სხეულში შევიდა ზურგის მხრიდან (მარცხენა ნენების შორის) და გამოვიდა მკვრის მარჯვენა მხარეს (ტუპუს დვრილთან). ისმის კითხვა: ვინ ესროლა ილია ჭავჭავაძეს? აშკარაა, რომ გასროლა იმ ტერორისტთა მხრიდან არ შეიძლება მომხდარიყო, რომლებმაც ეტლი გააჩერეს და გასროლის მომენტში ეტლის წინ იდგნენ.

შეიძლება თუ არა დადგინდეს იმ ტერორისტის ვინაობა, რომელმაც ილიას ზურგიდან ესროლა? იმხანად

ტერორისტულ პრაქტიკაში ასეთი წესები მოქმედებდა: ყველა ტერორისტი ჰქონდა თავისი „ხელწერა“, ე. ი. ტერორისტი მსხვერპლს კლავდა მისთვის დამახასიათებელი გასროლით. ასეთი გასროლის ნიშნები იყო: ერთი ტყვია კეფაში, ოთხი ტყვია ზურგში, ორი ტყვია მკერდის არეში, სამი ტყვია მუცლის არეში, ერთი ტყვია შუბლის არეში და ა. შ. ცხადია, იყო შემთხვევები, როდესაც რამდენიმე ტერორისტი ერთი „ხელწერით“ მოქმედებდა. მაგრამ იმგვარი გასროლით, როგორიცაა ილია მოკლეს (სხეულში მარცხენა ნენებს შორის შესული ტყვია გამოვიდა მკვრის არეში მარჯვნივ, ტუპუს დვრილთან), იმხანად (1905-1907 წწ.) მხოლოდ ორი ტერორისტი სარგებლობდა ასეთი „ხელწერით“. ერთი მათგანი 1907 წლის აგვისტოსათვის ციმბირის გადასახლებაში იმყოფებოდა და საქართველოში გვიან დაბრუნდა. მეორე 1907 წლის იანვრიდან აგვისტომდე, რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტისადმი დაქვემდებარებული თბილისის, ქუთაისის, ელისავეტოპოლისა და ბაქოს გუბერნიების უანდარმერიის სამმართველოების აგენტურული სამსახურის მასალების მიხედვით, არალეგალურად ცხოვრობდა თბილისში, ბათუმში, ბაქოში და ბათუმში-თბილისი-ბაქოს მარშრუტით გადაადგილებისას ხშირად იკარგებოდა უანდარმერიის თვალთახედვის არიდან. ეს ტერორისტი შეიღწა იმ 50-55 ტერორისტის რიცხვში, რომელთაც, პოლიციის დეპარტამენტის ანალიტიკოსთა დასკვნით, შექმლულ ნებისმიერი სირთულის ტერორისტული აქტის განხორციელება.

ტერორისტი, რომელმაც, ჩვენი აზრით, ილია მოკლა, უანდარმერიის თვალთახედვიდან გაქრა 1907 წლის 17 აგვისტოს. ამ დღეს იგი უანდარმერიის აგენტმა ბათუმის ნავსადგურში ნახა. უანდარმერიის თვალთახედვის არეში ტერორისტი კვლავ მხოლოდ 1907 წლის 21 დეკემბერს მოხვდა, ე. ი. ილიას მკვლელობიდან სამი თვისა და ოცდარეტი დღის შემდეგ. საგარაუდოა, ტერორისტმა „ფსკერზე ჯდომა“ გადაწყვიტა, ე. ი. გადაადგილებისა და ტერორისტული საქმიანობისაგან განგებ იკავებდა თავს. ეს ტერორისტთა საყოველთაოდ მიღებული წესი იყო. ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ ისეთ მასალას, რომელიც ამტკიცებდეს, რომ საქართველოში იმავე „ხელწერით“ სხვა ტერორისტებიც მოქმედებდა. მიუხედავად ამისა, კატეგორიული დასკვნის გაკეთებისაგან თავს ვიკავებთ, რადგან შემოხსენებულ ტერორისტს, პოლიციის დეპარტამენტის და ოხრანკის მასალების მიხედვით, ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან არანაირი კავშირი არ უმტკიცდება. თუმცა, აქვე დავძენთ, რომ ამ ფაქტს არ შეუძლია საფუძველი გამოაცალიოს ჩვენს ვერსიას, რადგან 1907 წლის 17 აგვისტოდან 21 დეკემბრამდე პოლიციის დეპარტამენტს არანაირი ცნობა ტერორისტის შესახებ არ მოუპოვებია, ილია ჭავჭავაძის მკვლელობა კი სწორედ ამ პერიოდში განხორციელდა.

(გაბრძემბა იენბუა)  
**პასტანა ვურული**  
(ვ. ვურული „საქართველოს ახალი ისტორია“, ტ.3. გვ. 547 - 550)

# „უნდა შეიქმნას კულტურული მემკვიდრეობის ღია მუზეუმი - მნიშვნელოვანი ტურისტული ცენტრი“

**ალიონი.** წელს ვაშნარის ექსპედიციას ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, არქეოლოგი ვაჟა სადრაძე უძღვებოდა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორ, არქეოლოგ მერაბ ძნელაძესთან ერთად.

არქეოლოგიური გათხრები იველის-ავისტოში მიმდინარეობდა. გაიწმინდა მთლიანი პერიმეტრი. ძირითადი აქცენტი გაკეთდა ბაზილიკის, მაგისტრალისა და საგალავნო სისტემის შესწავლაზე. საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა თეა წულუკიანმა ოზურგეთში სამუშაო ვიზიტისას გურიის მხარის სახელმწიფო რწმუნებულ ვიორგი ურუშაძესთან ერთად ვაშნარის ნაქალაქარის მიმდინარე არქე-

ლოგიური გათხრები მოინახულა და გაეცნო ძეგლის მდგომარეობას.

კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით წელს არქეოლოგიური გათხრების მეორე ეტაპი ოქტომბრის მეორე ნახევარში დაიწყო და 6 ნოემბრის ჩათვლით მიმდინარეობდა. ამჯერად, ექსპედიციაში ვაჟა სადრაძესა და მერაბ ძნელაძესთან ერთად საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს არქეოლოგი ზურაბ ვიორგაძე და საქართველოს ეროვნული მუზეუმის რესტავრატორი ვიორგი ვიორგაძე მონაწილეობდნენ.

გაზეთ „ალიონი“ ექსპედიციის ხელმძღვანელს, პროფესორ ვაჟა სადრაძეს ესაუბრა:

– თქვენ, წელს მეორედ ჩამოხვედით ვაშნარის ექსპედიციაში, რა ფაქტორმა განაპირობა არქეოლოგიური გათხრების განახლება?

– პირველ რიგში წარმატებით ჩატარებულმა არქეოლოგიურმა სამუშაოებმა, რომელშიაც ეროვნული

მუზეუმის სპეციალისტები და სტუდენტები არქეოლოგიისა და საქართველოს ისტორიის დეპარტამენტის სტუდენტები იღებდნენ მონაწილეობას.

უთუოდ აღსანიშნავია კულტურის სამინისტროსა და მხარის რწმუნებულის საურადად და მოკიდებულება



ვაშნარის ნაქალაქარის წარმოჩენასთან დაკავშირებით. მათი თხოვნით არქეოლოგიურ ექსპედიციას დაველა, რომ ჩატარებულიყო დამატებითი არქეოლოგიური კვლევა, რათა უკეთესი წინაპირობები შექმნილიყო ძეგლის საურსტავრაციო-აღდგენითი პროექტის შესაქმნელად. რომლის განხორციელების შემთხვევაში კი უნდა შეიქმნას კულტურული მემკვიდრეობის ღია მუზეუმი - მნიშვნელოვანი ტურისტული ცენტრი, როგორც გურიის მხარისა, ისე ზოგადად საქართველოს.

– თქვენ გაზეთ „ალიონთან“ ინტერვიუში განაცხადეთ, რომ განსაკუთრებულად შესწავლილია სალოცავ-მარტირუმი, როგორ ადრექრისტიანული საკულტო ძეგლი, რომლის ანალოგი მხოლოდ სირია-პალესტინაშია აღმოჩენილი. რა მნიშვნელობას ანიჭებთ ამ საკულტო ძეგლის არსებობას?

– ამ ტიპის სალოცავის (მოწამის განსახელების-მარტირუმის,) არსებობა სირია პალესტინის (ბაბილონი, აშური, ქატრა და სხვ.) ადრექრისტიანულ (III-IV ს.) სექტებთან კავშირებზე მიგვანიშნებენ. შესაძლოა აქაც, ტაძრის შექმნის ადრეულ ეტაპზე, მსგავს მოვლენას ჰქონდა ადგილი. იქნებ სწორია დიუბუა დე მომპერე რომლის ვარაუდითაც აქ „ურბების“ (ადრექრისტიანთა წარმომადგენელთა) მოღვაწეობის გამოვლინებას ჰქონდა ადგილი.

– განმეორებთმა გათხრებმა ზომ არ შეეცვალა სამონასტრო კომპლექსის აგების თარიღი და საბოლოოდ რომელ საუკუნეზე შეფუძნდით?

– დიახ, რიგი არტეფაქტების საფუძველზე საქალაქო ცხოვრება, შესაძლოა, III ს-დან იჩენს თავს.

– როგორც თქვენ ამბობთ, საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე საქართველოში (ვაშნარის მაგალითზე) ქრისტიანობა არსებობდა სექტების სახით. რას გვიჩვენებს ძეგლის ფართომასშტაბიანი შესწავლა.

– აქ გათხრილი უზარმაზარი

ონი, აშური, ქატრა და სხვ.) ადრექრისტიანულ (III-IV ს.) სექტებთან კავშირებზე მიგვანიშნებენ. შესაძლოა აქაც, ტაძრის შექმნის ადრეულ ეტაპზე, მსგავს მოვლენას ჰქონდა ადგილი. იქნებ სწორია დიუბუა დე მომპერე რომლის ვარაუდითაც აქ „ურბების“ (ადრექრისტიანთა წარმომადგენელთა) მოღვაწეობის გამოვლინებას ჰქონდა ადგილი.

– განმეორებთმა გათხრებმა ზომ არ შეეცვალა სამონასტრო კომპლექსის აგების თარიღი და საბოლოოდ რომელ საუკუნეზე შეფუძნდით?

– დიახ, რიგი არტეფაქტების საფუძველზე საქალაქო ცხოვრება, შესაძლოა, III ს-დან იჩენს თავს.

– როგორც თქვენ ამბობთ, საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე საქართველოში (ვაშნარის მაგალითზე) ქრისტიანობა არსებობდა სექტების სახით. რას გვიჩვენებს ძეგლის ფართომასშტაბიანი შესწავლა.

– აქ გათხრილი უზარმაზარი

სამწავიანი ბაზილიკის მოცულობიდან გამომდინარე, ქრისტიანობა არა მარტო სექტების, არამედ ადგილობრივი მოსახლეობის რელიგიაცაა.

ნაქალაქარის არსებობის დაახლოებით 4 საუკუნე უთუოდ ტაძრის ცხოვრების სხვადასხვა ეტაპებსაც უნდა გულისხმობდეს (მის გადაკეთებას, მინაშენებს, საფორტიფიკაციო სისტემის - კოშკ-გალავნების შექმნასა და ა.შ.)

– რა ადგილი უკავია ვაშნარის ციხე-ქალაქს საქართველოს უძველეს ისტორიაში?

– ამ კითხვაზე აწ. განსვენებული აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი უფრო სრულყოფილად ვიპასუხებდათ. ერთ-ერთ სამეცნიერო საბჭოზე რომელსაც ის თავაკობდა შემოიტანა წინადადება, რომ საქართველოში უახლოეს ხანებში უნდა დაწყებულიყო სამთავროზე და ვაშნარში გათხრები. ესაა ჩვენი პასუხი.

ნუზუარ ასათიანი

## ოზურგეთში ახალი ტურისტული სივრცე – „გობრონიძეების მარანი“ გაიხსნა

**ალიონი.** 11 ნოემბერს, ოზურგეთში, ერისთავის ქუჩა №20-ში, თავადი ნაკამიძეების ნაფუძვარზე საზეიმოდ გაიხსნა ახალი ტურისტული ლოკაცია – „გობრონიძეების მარანი“.

ახალი ტურისტული ლოკაციის გახსნის ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ოზურგეთისთვის ცნობილი ადამიანები: მხატვრები, ჟურნალისტები, მსახიობები, კულტურის მუშაკები, საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები.

როგორც ამ იღვის ავტორმა, ქალბატონმა მარინა ვაფარიძემ განაცხადა, ამ საოჯახო მარანს აქვს ისტორია. საუკუნის წინ ნაკამიძეებიდან ეს მამული გაბრიელ გობრონიძემ შეიძინა და ოჯახმა ბევრი რამ ტრადიციული შეინარჩუნა, რაც ნაკამიძეების სახელს უკავშირდებოდა. აღდგენილი იქნა ძველი მარანი, გაიხსნა სივრცე საოჯახო-ფერმერული ტურიზმის მიმართულებით „ღვინის სალონი“, სადაც ვიზიტორებს საშუალება ექნებათ დაგემოვნონ გურული და ქართული ყურძნისაგან დამზადებული საოცხო ღვინოები, მიიღონ მასტერკლასები, გურული სამზარეულო და ქართული მრავალხმიანი - პოლიფონური სიმღერების მოუსმინონ.



გობრონიძეებს ნაკამიძეების ნაფუძვარზე არსებული უძველესი მარნის ტრადიციები აღადგინა და საოჯახო ღვინის წარმოებას დირსულად აგრძელებენ – საოჯახო ტექნოლოგიით აწარმოებს სხვადასხვა სახის ღვინოებს, რიგობს ძველი გურული ჯიშების, ასევე სხვა ქართული ყურძნის ჯიშებიდან. ღვინო იწურება და დუღილის პროცესს გადის მუხის კასრებში.

## ჩოხატაურის ხელოვნების სასახლეში პრემიერა გაიმართა








ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრთან არსებულმა ახალგაზრდულმა თეატრალურმა დასმა წარმოადგინა სპექტაკლი – „დარისპანის ვასაჟირი“.

რეჟისურა და მხატვრობა – ქეთევან კუპულავა;

მუსიკალური გამფორმებელი – ნინო სინარულიძე;

მონაწილეობენ: ვიორგი ბერძენიშვილი, ანასტასია გაბრიჭიძე, ნიკოლოზ მეგრელიშვილი, მარიამ ოსეფიაშვილი, თორნიკე ბერიძე, ბარბარე მამალაძე, მარიამ თავაძე.



 <b>მზა, ღრუბაქლი</b> +12+21	 <b>მზა, ღრუბაქლი</b> +10+18	 <b>წვიმა</b> +6+15	 <b>ღრუბაქლი</b> +7+13	 <b>მზა, ღრუბაქლი</b> +11+17	 <b>ღრუბაქლი</b> +10+16	 <b>მზა, ღრუბაქლი</b> +4+10
14 ნოემბერი საშუაბათი	15 ნოემბერი ოთხშაბათი	16 ნოემბერი ხუთშაბათი	17 ნოემბერი - პარასკევი	18 ნოემბერი შაბათი	19 ნოემბერი კვირა	20 ნოემბერი ორშაბათი